

პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ტრენინგები

”აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: მობილური მოწყობილობების გამოყენება და გეიმიფიკაცია”

აქტიური სწავლების უპირატესობა

რატომ გახდა საჭირო მოცემულ ტრენინგში მონაწილეობის მიღება და რას გვამძლევს აქტიური სწავლების დანერგვა ჩვენს სასწავლო პროცესში

ტრენინგის მიზანი:

სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაცია და განვითარება,

რომელიც მოიცავს:

1. აქტიური სწავლების სტრატეგიის გაცნობას;
2. თამაშის ელემენტების გამოყენებას სწავლის პროცესში (გეიმიფიკაცია), რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და დამახსოვრებას;
3. ზოგიერთი მობილური აპლიკაციის გაცნობას სასწავლო პროცესის გამარტივებისა და დაგეგმვისათვის (ონლაინ ქვიზები და დავალებები, სწრაფი ონლაინ გამოკითხვა, ვიდეოლექციები, სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის შესაძლებლობა აუდიტორიაში და მის გარეთ).

შედეგი:

სტუდენტების მეტად დაინტერესება —> სწავლის მოტივაციის გაზრდა —> უკეთესი აკადემიური მოსწრება —> წარმატებული კურსდამთავრებულები —> უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლება

- განსაკუთრებული შედეგის მოტანა შეუძლია სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა საგანში
- გულისხმობს სწავლების პროცესში ჯგუფურ ჩართვას და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას
- საშუალებას აძლევს პედაგოგს, განავითაროს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები, ხელი შეუწყოს მათი განსაკუთრებული ინტერესების გამოვლენას, თვითშეფასების ამაღლებას, საკომუნიკაციო უნარების განვითარებას

ამერიკელი სოციოლოგების კვლევა:

რა ტიპის წყაროებიდან რა მოცულობით იმახსოვრებს ადამიანი ინფორმაციას.

10%	წაკითხულიდან	წიგნი, სახელმძღვანელო, ბეჭდური მედია
20%	მოსმენილიდან	ლექცია, ზეპირი ახსნა
30%	ნანახიდან	ილუსტრაცია, სლაიდები
50%	ნანახიდან და მოსმენილიდან	ფილმი, გამოფენა, ექსკურსია
70%	საუბრიდან	დისკუსია
90%	საუბრიდან, მოქმედებიდან	რეალური მოქმედებების იმიტაცია

ე.ი ადამიანთა მხოლოდ 10%-ს აქვს უნარი, ისწავლოს წიგნის კითხვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეთა მხოლოდ 10%-ს მიესადაგება ტრადიციული სწავლების მეთოდები. დანარჩენ 90%-საც შეუძლია სწავლა, მაგრამ არა წიგნის კითხვით, არამედ სხვა გზით, თავისი მცდელობებით, რეალური გამოცდილებით - აქტიური სწავლების მეთოდით:

- ჯგუფის მონაწილეები ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით
- ახერხებენ ერთობლივი მოქმედებების ორგანიზებას
- შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, ურთიერთობა, ე. ი. შესასრულებელ დავალებათა განაწილება, თვალსაზრისთა გაზიარება და ურთიერთგაგება

- შეუძლიათ პრობლემის გადასაწყვეტად მოქმედების ხერხების გაზიარება
- სწავლობენ ურთიერთგაგებას, რაც განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩართულობას ჯგუფში და ინდივიდუალური უნარების მაქსიმალურ გამოვლენას
- იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ მოქმედებაზე, შეცდომის შემთხვევაში კი აქვთ მოქმედების შესწორების უნარი